

შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება.....	11
5. ძირითადი საშუალებები.....	12
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	13
7. საკუთარი კაპიტალი.....	14
8. ნასესხები სახსრები.....	14
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	15
10. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები.....	15
11. ამონაგები ჩამდინარე წყლების დამუშავებიდან.....	16
12. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები.....	16
13. პირობითი ვალდებულებები.....	16
14. ფინანსური ინსტრუმენტები.....	16
15. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	18
16. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები.....	20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის“ მფლობელს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე


ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. .

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 1 მაისი

თბილისი, საქართველო


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	51,448	53,941
საინვესტიციო ქონება		594	524
სხვა გრძელვადიანი აქტივები		52	95
სულ გრძელვადიანი აქტივები		52,094	54,560
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		587	272
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3,236	10,282
ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		51	-
გადახდილი ავანსი		98	24
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	327	187
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,299	10,765
სულ აქტივები		56,393	65,325
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	7	11,359	11,359
გაუნაწილებელი მოგება		25,044	23,984
სულ საკუთარი კაპიტალი		36,403	35,343
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	8	19,462	29,320
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		19,462	29,320
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	9	528	652
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		-	10
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		528	662
სულ ვალდებულებები		19,990	29,982
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		56,393	65,325

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 1 მაისს:



ხოხე მიგელ სანტოს გონზალესი
აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	51,448	53,941
საინვესტიციო ქონება		594	524
სხვა გრძელვადიანი აქტივები		52	95
სულ გრძელვადიანი აქტივები		52,094	54,560
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		587	272
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3,236	10,282
ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		51	–
გადახდილი ავანსი		98	24
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	327	187
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,299	10,765
სულ აქტივები		56,393	65,325
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	7	11,359	11,359
გაუნაწილებელი მოგება		25,044	23,984
სულ საკუთარი კაპიტალი		36,403	35,343
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	8	19,462	29,320
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		19,462	29,320
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	9	528	652
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		–	10
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		528	662
სულ ვალდებულებები		19,990	29,982
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		56,393	65,325

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 1 მაისს:

ხოხე მიგელ სანტოს გონზალეზი
აღმასრულებელი დირექტორი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები ჩამდინარე წყლების დამუშავებიდან	11	11,322	16,775
სულ ამონაგები		11,322	16,775
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	12	(1,294)	(1,272)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(515)	(547)
ელექტროენერგიის და გადაცემის დანახარჯები		(371)	(422)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(647)	(431)
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალა		(256)	(272)
პროფესიული მომსახურების გასამრჯელო		(114)	(127)
ტექნომსახურების დანახარჯი		(61)	(124)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(287)	(211)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი		–	(15)
სხვა შემოსავალი		73	125
		(3,472)	(3,296)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)		7,850	13,479
ფინანსური შემოსავალი		10	–
ფინანსური დანახარჯები	8	(2,462)	(3,602)
საკუროს სხვაობით განპირობებული (ზარალი) შემოსულობა		(3,551)	839
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,575)	(3,437)
შემოსულობა ნასესხები სახსრების მოდიფიცირებიდან	8	2,789	–
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან და გასვლიდან		(1)	(711)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		1,060	6,568
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება		1,060	6,568
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,060	6,568

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,359	17,416	28,775
წლის მოგება	–	6,568	6,568
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	6,568	6,568
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,359	23,984	35,343
წლის მოგება	–	1,060	1,060
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	1,060	1,060
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,359	25,044	36,403

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება დაბეგვრამდე		1,060	6,568
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		3,575	3,437
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან და გასვლიდან		1	711
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან შემოსულობა		(70)	(121)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი (შემოსულობა)		3,551	(839)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი		–	15
ფინანსური შემოსავალი		(10)	–
ფინანსური დანახარჯები	8	2,462	3,602
შემოსულობა ნასესხები სახსრების მოდიფიცირებიდან	8	(2,789)	–
საოპერაციო ფულადი სახსრები საბრუნავი კაპიტალის ცვლილების შემდეგ			
ცვლილება მარაგებში		(315)	59
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		7,046	11,993
ცვლილება ავანსად გადახდილ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		(51)	1
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(74)	68
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(42)	148
ცვლილება სხვა საგადასახადო ვალდებულებებში		(10)	(123)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		14,334	25,519
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(1,121)	(2,279)
მიღებული პროცენტი		10	1
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,111)	(2,278)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების დაფარვა	8	(10,742)	(18,075)
გადახდილი პროცენტი	8	(2,339)	(5,021)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(13,081)	(23,096)
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		(2)	(9)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება		140	137
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	187	51
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	327	187

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 1999 წლის 20 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრძანების საფუძველზე და ის წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ჩამდინარე წყლების მომსახურების გაწევა იურიდიული პირებისთვის და ქალაქ თბილისის, რუსთავისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის. კომპანია ფლობს და ოპერაციებში იყენებს წყალარინების სისტემაში გამოყენებული წყლისა და ჩამდინარე წყლების ინფრასტრუქტურულ აქტივებს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0179, მედეა (მზია)ჯუღელის ქ. №10.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ის მფლობელია სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ (შემდგომში „GGU“ ან „მშობელი საწარმო“), რომლის 80%-ს ფლობს „FCC Aqualia S.A“ (შემდგომში „Aqualia“)

კომპანიის საქმიანობას მართავს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (შემდგომში „GWP“ ან „მმართველი კომპანია“), მშობელი საწარმოს 100%-იანი შვილობილი საწარმო, მართვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ კომპანიის უმსხვილესი მომხმარებელია.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის ანგარიშგებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა საინვესტიციო ქონებისა, რომელიც სამართლიანი ღირებულებით შეფასდა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

რამდენიმე ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2024 წელს, თუმცა მათ არ აქვთ გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, გარდა ქვემოთ განხილულისა:

ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებები - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებსა და უკუიჯარაში

ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც იყენებს გამყიდველი-მოიჯარე ყიდვა-გაყიდვის და უკუიჯარის ოპერაციებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულების შეფასებისას, რათა უზრუნველყოს ის, რომ მყიდველმა-მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობის ან ზარალის ისეთი თანხა, რომელიც მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას უკავშირდება. ცვლილებებს გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს (IAS) 1-ის ცვლილებები - ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ბასს (IAS) 1-ის ცვლილებებით განსაზღვრულია ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის მოთხოვნები. ცვლილებებით განისაზღვრება:

- ▶ რას ნიშნავს ანგარიშსწორების გადავადების უფლება;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში;
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით;
- ▶ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ასახული წარმოებული ინსტრუმენტი თავად არის წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების პირობები არ იმოქმედებს კლასიფიკაციაზე.

ამასთან, საწარმო ვალდებულია გაამჟღავნოს ინფორმაცია სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების გრძელვადიანად კლასიფიცირების და საწარმოს მიერ ანგარიშსწორების გადავადების უფლების შესახებ, რომელიც დამოკიდებულია მომავალი ვალდებულებების დაცვაზე თორმეტი თვის განმავლობაში. ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები - ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები

ბასს (IAS) 7-ის („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“) და ფასს (IFRS) 7-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) ცვლილებები: მომწოდებლის ფინანსური გარიგებების მახასიათებლების განმარტებითი შენიშვნები და ამგვარი გარიგებების დამატებითი განმარტებების მოთხოვნა. ცვლილებებში განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის მიზანია ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს დაეხმაროს საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე ან ლიკვიდობის რისკის ზომაზე მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების ეფექტების გააზრებაში. ცვლილებებს გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ბასს (IAS) 21-ის ცვლილებები: „ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ (ძალაშია 2025 წლის 1 იანვარიდან ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის).

2023 წლის აგვისტოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოუშვა ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

ცვლილება ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ვადაზე ადრე მიღება ნებადართულია, თუმცა საჭირო იქნება ამ ინფორმაციის გამჟღავნება. ცვლილებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება.

მოსალოდნელი არ არის რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნებათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ▶ ფასს (IFRS) 18: „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“ (ძალაშია 2027 წლის 1 იანვარიდან ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის).

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

2024 წლის აპრილის თვეში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 1-ს („ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა“). ფასს (IFRS) 18 ადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგების ფარგლებში ინფორმაციის წარდგენის, მათ შორის ჯამების და ქვეჯამების მითითების ახალ მოთხოვნებს. გარდა ამისა, საწარმოები ვალდებული არიან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში განახორციელონ ყველა შემოსავლის და ხარჯის კლასიფიცირება ხუთი კატეგორიიდან ერთ-ერთით: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, საიდანაც პირველი სამი ახალი კატეგორიაა.

ის ასევე მოითხოვს ახლად განსაზღვრული ხელმძღვანელობის მიერ არჩეული შესრულების მაჩვენებლების საზომების - შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამების გამჟღავნებას, ასევე ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირების და დეზაგრეგირების შესახებ, ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებში გამოვლენილი „როლების“ საფუძველზე.

ამასთან, მცირემასშტაბიანი ცვლილებები განხორციელდა ბასს (IAS) 7-ში („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“), რაც მოიცავს ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის ცვლილებას არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში, „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება-ზარალზე“; ასევე ფულადი ნაკადების ანაზღაურებიდან და პროცენტიდან კლასიფიკაციასთან დაკავშირებული შერჩევითობის გაუქმებას. ამასთან, განხორციელდა რამდენიმე სხვა სტანდარტის შედეგობრივი ცვლილებები.

ფასს (IFRS) 18 და სხვა სტანდარტების ცვლილებები ძალაშია 2027 წლის 1 იანვრით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე მიღება, რაც აუცილებლად უნდა იყოს გამჟღავნებული. ფასს (IFRS) 18-ის გამოყენება რეტროსპექტულად მოხდება.

დღეისათვის კომპანია მუშაობს ცვლილებების ყველა გავლენის აღმოჩენაზე, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ ფინანსურ ანგარიშგებებზე ან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებზე.

- ▶ ფასს (IFRS) 19: შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები (ძალაშია 2027 წლის 1 იანვარიდან ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის).

2024 წლის მაისის თვეში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 19, რომელიც უფლებამოსილ საწარმოს საშუალებას აძლევს აირჩიოს გამოიყენოს ინფორმაციის გამჟღავნების შეზღუდული მოთხოვნები და ამავდროულად გამოიყენოს აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნები სხვა ფასს (IFRS) სააღრიცხვო სტანდარტებში. უფლებამოსილებისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს (IFRS) 10-ის შესაბამისად, არ უნდა ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდეს მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად.

ფასს (IFRS) 19 ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

დღეის მდგომარეობით კომპანია აფასებს უფლებამოსილებას ახალი სტანდარტისთვის და, უფლებამოსილების დადასტურების შემთხვევაში, გამოიყენოს თუ არა და როდის გამოიყენოს ახალი სტანდარტი.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია საინვესტიციო ქონებას სამართლიანი ღირებულებით აფასებს ბალანსის ყოველ თარიღში. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება მე-14 შენიშვნაშია მოცემული.

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, ასევე სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით („FVOCI“) და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით („FVPL“).

სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიდგომა, კომპანია თავდაპირველად ფინანსურ აქტივს აფასებს სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება გარიგების დანახარჯები, თუ ფინანსური აქტივები არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ არ გამოიყენა პრაქტიკული მიდგომა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ის საფუძველზე განსაზღვრული გარიგების ფასით.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით, რაც მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და კომპანიის ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით.

მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანიამ ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებაზე შეიძლება მიანიშნებდეს შემდეგი:

- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ▶ ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაცია;
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენს კონტრაქტზე.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, თავდაპირველად აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალი ჩამოწერილი თანხა მოგვიანებით იქნება ამოღებული, ის დაკრედიტდება მოგება-ზარალში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში, როგორც გაუფასურების გაუქმება.

რეგულარულად ხდება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ფინანსური აქტივები (გაგრძელება)****ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა****ფინანსური აქტივები**

უიმედო აქტივები ჩამოიწერება დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მიხედვით, მას შემდეგ, რაც განხორციელდება აქტივის აღდგენისთვის საჭირო პროცედურები და განისაზღვრება ზარალის თანხა. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება, მათ შორის ნასესხები სახსრები და სავაჭრო და სხვა ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება. კომპანიის ნასესხები სახსრები შედგება მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხისგან.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე სესხის კრედიტორის მიმართ არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ამგვარი გადაცვლა ან მოდიფიცირება ჩაითვლება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამის საბალანსო ღირებულებაში სხვაობა მოგება-ზარალშია აღიარებული.

ძირითადი საშუალებები

ინფრასტრუქტურული აქტივები მოიცავს ობიექტებს, მანქანა-დანადგარებს, აღჭურვილობასა და მილსადენებს. საინვესტიციო დანახარჯი ქსელის სიმძლავრის ზრდასთან ან გაუმჯობესებასთან და აქტივის საოპერაციო სიმძლავრის შენარჩუნების მიზნით აქტივის ჩანაცვლებასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურულ აქტივებზე, განისაზღვრება, როგორც შესყიდვა და თავდაპირველად თვითღირებულებით აღირიცხება, ხოლო რემონტისა და ტექნომსახურების დანახარჯები, რომლებიც არ აძლიერებენ აქტივის ბაზას, დაირიცხება საოპერაციო ხარჯის სახით.

კომპანია ფლობს უძრავ ქონებას, რომელიც ძირითადად შედგება ადმინისტრაციული შენობებისა და საოპერაციო ობიექტებისგან.

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი მზად არის და ხელმისაწვდომია ექსპლუატაციისთვის. ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე. ძირითადი საშუალებების რამდენიმე კლასის შესაბამისი არსებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
უძრავი ქონება	60 წლამდე
ინფრასტრუქტურული აქტივები	5-45 წელი
ავტო და მოწყობილობები	5-10 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია აქტივის გასვლიდან მიიღებს, გასვლის სავარაუდო დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორიც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისთვის.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია მიწის ნაკვეთით და შენობა-ნაგებობებით, რომლებიც არ არის დაკავებული შემდგომი მოხმარებისთვის კომპანიის მიერ ან მისი ოპერაციებისთვის და არ იყიდება ჩვეული საქმიანობის პროცესში, მაგრამ მეტწილად მათი ფლობა ხდება საიჯარო შემოსავლის, კაპიტალის ზრდის ან ორივე მიზნით.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი საოპერაციო დანახარჯებსაც მოიცავს. საწყისი აღიარების შემდგომ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რაც ასახავს საანგარიშგებო თარიღში ბაზრის მდგომარეობას. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი შესულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც ისინი წარმოიშვა და აისახება სხვა შემოსავალში.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოკეტივები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული მოთხოვნამდე ანაზღაურებისგან, საწყისი დაფარვის სამთვლიანი ან ნაკლები ვადით, რომლებსაც ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი აქვთ. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. ცვლილება კომპანიის წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და სხვ.) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მეწილეს გადაწყვეტილებით. კომპანიის საკუთარ კაპიტალში ავტორიზებული კაპიტალი აღირიცხება, როგორც საწესდებო კაპიტალი, მისი გადახდის ფარგლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“, 18% საქართველოში) წარმოადგენს ვალდებულებას საგადასახადო უწყებების მიმართ, როდესაც ხდება საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშფაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიან თანხაზე, დღგ-ის ჩათვლით.

შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

კომპანია ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. EBITDA არ არის განსაზღვრული ფასს სტანდარტებში და კომპანია მას განსაზღვრავს, როგორც შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე, რომელიც მიიღება, როგორც კომპანიის მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, საპროცენტო შემოსავალი, ფინანსური დანახარჯები, საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა ან ზარალი.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამუშაო ვალუტა და უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო სხვაობით განპირობებულ ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარის ღირებულება 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 2.8068 და 2.6894 ლარი.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას იმ ოდენობით, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. კომპანიის ამონაგების მთავარ კლასებზე ასევე ვრცელდება შემდეგი კონკრეტული პრინციპები:

ამონაგები ჩამდინარე წყლების დამუშავებიდან

ამონაგები ჩამდინარე წყლების დამუშავებიდან აღიარდება წყალარინების მიღებაში ჩამდინარე წყლების მოცულობით და შესაბამისი ფიქსირებული ფასის გამოყენებით. კომპანია ამ ფასს განსაზღვრავს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიის საფუძველზე. 2024 წლის განმავლობაში ტარიფი 0,1194 ლარიდან 0,0822 ლარამდე შემცირდა, დღგ-ის გამოკლებით. ახალი ტარიფი ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და ძალაში დარჩება კონტრაქტები განახორციელებენ ხელშეკრულების ახალ ცვლილებას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება

კომპანია მიმართავს გარკვეულ განსჯას და შეფასებას, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასება და განსჯა მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი კორექტირების განხორციელება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების გაუფასურების მაჩვენებლები

კომპანიამ მოამზადა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორების ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიამ დაასკვნა, რომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების პოტენციური გაუფასურების და ადრე აღიარებული გაუფასურების აღდგენის ინდიკატორები. კომპანიამ განსაზღვრა, რომ ის წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთადერთ ერთეულს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ შეაფასა ძირითადი საშუალებების გაუფასურების შიდა და გარე ინდიკატორები ფულადი სახსრების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლებიც ორიენტირებული იყო ფიზიკური დაზიანების, საბაზრო ფასის ცვლილების, ტექნოლოგიური მოძვლებების და შიდა განაკვეთების ზრდის არსებობაზე. კომპანიამ ასევე შეაფასა ინფორმაციის შიდა წყაროები, როგორც არის მიმდინარე პერიოდის შესრულების მაჩვენებლები ბიუჯეტთან მიმართებით, წყლის დამუშავების ყოველწლიური დონის, საშუალო ფასების და საოპერაციო დანახარჯების გათვალისწინებით. ამ შეფასების შედეგად, რაც მოიცავდა მნიშვნელოვან განსჯას, ხელმძღვანელობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ დაუფიქსირებია ძირითადი საშუალებების პოტენციური გაუფასურება. შეფასებაში ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი მოსაზრება და დაშვება იმაში მდგომარეობდა, რომ ჩამდინარე წყლების დამუშავების ტარიფის მოდელი საქართველოში ისეთი ფორმით არის დაგეგმილი, რომ უზრუნველყოს ინვესტორი წინასწარ განსაზღვრული უკუგებით მარეგულირებელი აქტივის ბაზაზე და საოპერაციო დანახარჯებზე და ის, როგორც ასეთი არ არის მგრძნობიარე გრძელვადიან პერიოდში ჩამდინარე წყლების დამუშავების მოცულობაში არსებული მერყეობების და საოპერაციო დანახარჯების მიმართ. ტარიფების დაახლოებით 31%-ით შემცირება მიმდინარე 2024-2026 წლების სატარიფო პერიოდში 2023 წელთან შედარებით, რამაც გამოიწვია შესაბამისი კლება ამონაგებსა და თავისუფალ ფულად ნაკადებში, ცალკე არ მიიჩნევა გაუფასურების ინდიკატორად.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების შემადგენელი ცალკეული მუხლის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის განსჯაზე, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ დამკვლევას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ამ პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების კორექტირება. ახალი შესყიდვების სასარგებლო მომსახურების ვადები სემეკის მოთხოვნების გათვალისწინებით დგინდება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის შეფასდა, როგორც უმნიშვნელო. კომპანია ითვალისწინებს, რომ დაკავშირებული მხარეების მოვალეობს შესწევთ უნარი მთლიანად და დროულად გადაიხადონ ვადადამდგარი თანხები (მე-14 შენიშვნა). მესამე მხარეების მიმართ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 41 ლარის ოდენობით შეფასდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვლილების დინამიკა 2024 წელს:

	მიწის ნაკვეთები	უძრავი ქონება	ინფრას- ტრუქ- ტურული აქტივები	ავტოსატ- რანსპორტო საშუალო- ბები	ავეჯი და მოწყობი- ლობები	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება							
2023 წლის 31 დეკემბერი	1,980	9,462	64,505	552	759	1,509	78,767
შესყიდვები	–	–	71	1	25	985	1,082
გასვლები	–	–	(1)	–	(1)	–	(2)
გადატანები	–	–	763	–	20	(783)	–
2024 წლის 31 დეკემბერი	1,980	9,462	65,338	553	803	1,711	79,847
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
2023 წლის 31 დეკემბერი	201	1,032	22,941	261	391	–	24,826
ცვეთის დარიცხვა	–	167	3,277	50	80	–	3,574
გასვლა	–	–	–	–	(1)	–	(1)
2024 წლის 31 დეკემბერი	201	1,199	26,218	311	470	–	28,399
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება							
2023 წლის 31 დეკემბერი	1,779	8,430	41,564	291	368	1,509	53,941
2024 წლის 31 დეკემბერი	1,779	8,263	39,120	242	333	1,711	51,448

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2023 წელს ძირითად საშუალებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

	მიწის ნაკვეთები	უძრავი ქონება	ინფრას- ტრუქ- ტურული აქტივები	ავტოსატ- რანსპორტო საშუალე- ბები	ავეჯი და მოწყობი- ლობები	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბრის	1,980	9,179	62,734	550	730	1,738	76,911
შესყიდვები	-	2	66	2	5	2,495	2,570
გასვლა	-	-	-	-	(5)	(709)	(714)
გადატანები	-	281	1,705	-	29	(2,015)	-
2023 წლის 31 დეკემბერი	1,980	9,462	64,505	552	759	1,509	78,767
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
2022 წლის 31 დეკემბერი	201	870	19,791	211	318	-	21,391
ცვეთის დარიცხვა	-	162	3,150	50	75	-	3,437
გასვლები	-	-	-	-	(2)	-	(2)
2023 წლის 31 დეკემბერი	201	1,032	22,941	261	391	-	24,826
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბერი	1,779	8,309	42,943	339	412	1,738	55,520
2023 წლის 31 დეკემბერი	1,779	8,430	41,564	291	368	1,509	53,941

2023 წელს კომპანიამ გაყიდა კონკრეტული პროექტები, რომლებიც არ იყო მიჩნეული საბოლოოდ ათვისებულად (709 ლარი).

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ჩამდინარე წყლების დამუშავებისთვის სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ	3,227	10,268
სხვა სავაჭრო მოთხოვნები ჩამდინარე წყლების დამუშავებიდან	-	13
სულ სავაჭრო მოთხოვნები	3,227	10,281
სხვა მოთხოვნები	50	42
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(41)	(41)
სულ სხვა მოთხოვნები, წმინდა	9	1
სულ მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	3,236	10,282

ხელმძღვანელობამ ანალიზი ჩაატარა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის მიხედვით. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩამდინარე წყლების დამუშავების გაყიდვა ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული იყო.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი კლასების მიხედვით ასე გამოიყურება:

31-დეკ-24	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>91 დღე	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,922	946	361	7	3,236

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი კლასების მიხედვით ასე გამოიყურება:

31-დეკ-23	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>91 დღე	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,841	1,441	1,475	4,524	10,281

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის უმნიშვნელო იყო. იხილეთ მე-14 განმარტებითი შენიშვნა.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

7. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სრულად ჰქონდა შეტანილი საწესდებო კაპიტალი 11,359 ლარის ოდენობით.

დივიდენდები

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, მშობელ საწარმოს არ გამოუცხადებია და არც გადაუხდია დივიდენდები.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან შეძლოს მფლობელებისთვის უკუგების მოტანის გაგრძელება, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ კომპანიის საქმიანობა ხარჯთეფექტური იყოს.

ამ მიზნების მისაღწევად კომპანია დეტალურად აანალიზებს კაპიტალის სტრუქტურას, ნასესხები სახსრების თანხის და საკუთარი კაპიტალის არსებული დონის გათვალისწინებით. კომპანია კაპიტალს განსაზღვრავს კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, როგორც საკუთარ კაპიტალს, რომელიც აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში. არ არსებობს გარედან დაკისრებული კაპიტალური მოთხოვნები, რომლის საგანსაც წარმოადგენს კომპანია.

2024 და 2023 წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

8. ნასესხები სახსრები

	2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი	
	მოკლევადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები
სესხები მშობელი საწარმოსგან	–	19,462	–	29,320
სულ ნასესხები სახსრები	–	19,462	–	29,320

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობდა აშშ დოლარში გამოხატულ სესხს მშობელი საწარმოსგან 29,320 ლარის ოდენობით ფიქსირებული 10%-იანი საპროცენტო განაკვეთით და დაფარვის ვადით 2025 წლის 31 ივლისს. 2024 წელს სესხის ხელშეკრულება შეიცვალა დაფარვის ვადის 2029 წლის 30 ნოემბრამდე გახანგრძლივებით. ხელშეკრულების სხვა პირობები უცვლელი დარჩა. კომპანიამ ცვლილება არა არსებითად მიიჩნია და შესაბამისად მას არ გამოუწვევია თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა. კომპანიამ 2024 წლის მოგება-ზარალში აღიარა 2,789 ლარის ოდენობით შემოსულობა ნასესხები სახსრების მოდიფიცირებიდან, რომელიც არსებით არაფულად მოძრაობას წარმოადგენს. მოგვიანებით, 2024 წელს, კომპანიამ დაფარა მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხის ძირითადი თანხა 10,742 ლარის ოდენობით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხის საბალანსო ღირებულებამ 19,462 ლარი შეადგინა.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

8. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	<i>ნასესხები სახსრები</i>
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	49,649
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	(835)
ფულადი სახსრების დაფარვა	(18,075)
დარიცხული პროცენტი	3,602
გადახდილი პროცენტი	(5,021)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	29,320
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალ	3,553
ფულადი სახსრების დაფარვა	(10,742)
დარიცხული პროცენტი	2,459
შემოსულობა მოდიფიცირებიდან	(2,789)
გადახდილი პროცენტი	(2,339)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	19,462

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	<i>2024 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2023 წლის 31 დეკემბერი</i>
გრძელვადიანი აქტივების ვალდებულება	97	179
სავაჭრო ვალდებულებები	275	264
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე	88	147
ვალდებულებები დასაქმებულთა მიმართ	68	62
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	528	652

სავაჭრო და სხვა ვალდებულებაზე პროცენტი არ ირიცხება და თავდაპირველად 60 დღის განმავლობაში იფარება.

10. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

2024 წელს კომპანიამ აღიარა 11,322 ლარის (2023 წ.: 16,775 ლარი) ოდენობით ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ამონაგების დეზაგრეგირება ტიპების მიხედვით მოცემულია მე-11 განმარტებით შენიშვნაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ აღიარა 3,227 ლარის ოდენობით ამონაგები მოთხოვნებიდან, რომლებიც შესულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლში (2023 წ.: 10,286 ლარი). ამ მოთხოვნებთან მიმართებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ნული ლარი იყო (2023 წ.: ნული).

ჩამდინარე წყლების დამუშავების მომსახურების საფასურის გადახდის ვადა 10 დღეში დგება. თუმცა, ფაქტობრივი ანგარიშსწორება შესაძლოა განხორციელდეს მნიშვნელოვნად გვიან, კომპანიის და მისი დაკავშირებული მხარე მოვალეების ლიკვიდობის საჭიროებების გათვალისწინებით. 2024 წელს დაკავშირებულმა მხარემ ნაღდი ფორმით დაფარა დაგროვილი მოთხოვნების 20,396 ლარი, რამაც გამოიწვია სავაჭრო მოთხოვნის ნაშთის მნიშვნელოვნად შემცირება 2023 წლის 31 დეკემბერთან შედარებით.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

11. ამონაგები ჩამდინარე წყლების დამუშავებიდან

	2024	2023
ამონაგები ჩამდინარე წყლების დამუშავებიდან (დაკავშირებული მხარეები)	11,317	16,773
ამონაგები ჩამდინარე წყლების დამუშავებიდან (სხვა იურიდიული პირები)	5	2
მთლიანი ამონაგები ჩამდინარე წყლების დამუშავებიდან	11,322	16,775

12. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები

	2024	2023
ხელფასები	1,245	1,236
პრემიები	49	36
სულ ხელფასები და ბონუსები	1,294	1,272

13. პირობითი ვალდებულებები**გარემოსდაცვითი საკითხები**

საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულაციების აღსრულება მიმდინარეობს და ხელისუფლების ორგანოების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს მის ვალდებულებებს გარემოსდაცვითი რეგულაციების ფარგლებში. ვალდებულებების განსაზღვრასთან ერთად ისინი მაშინვე აღიარდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას არსებულ რეგულაციების, სამოქალაქო სასამართლო დავების ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, ვერ შეფასდება, მაგრამ შესაძლოა არსებითი მნიშვნელობის იყოს. მიმდინარე აღსრულების ფარგლებში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოს დაზიანების მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ არსებობს.

14. ფინანსური ინსტრუმენტები**ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა***ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები*

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ქართულ კომერციულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებს.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს, რომლებიც ვადაგადაცილებულია, გარდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა (მე-6 განმარტებითი შენიშვნა).

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ყველა ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის სამართლიანი ღირებულებაც კომპანიამ გაამჟღავნა 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამართლიანი ღირებულებით ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც იყენებს ემპირიულ და არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს. მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდებში ცვლილებები არ განხორციელებულა 2024 და 2023 წლებში.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

14. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, საბალანსო ღირებულების ტოლი ოდენობით შეფასდა. არაკოტირებული ფიქსირებულ-პროცენტიანი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ოდენობით, მსგავსი საკრედიტო რისკის და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. ფიქსირებულგანაკვეთიანი ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება (სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონე) 17,711 ლარს შეადგენს. ხელმძღვანელობის შეფასებით ბანკში ნაღდი ფულის ნაშთის, სავაჭრო მოთხოვნების, სავაჭრო ვალდებულებების და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, რაზეც დიდად მოქმედებს ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი დაფარვის ვადები.

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი

ჩვეული საქმიანობის პირობებში, კომპანიაზე მოქმედებს სავალუტო, საპროცენტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი ნაკადები იმერყევებს, უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების გამო. კომპანიის ხელმძღვანელობა აკონტროლებს ღია სავალუტო პოზიციებს თითოეულ არსებით ვალუტაზე და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს უცხოურ ვალუტაში გამოხატულ გარიგებებს.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავალუტო რისკი წარმოიშობა აშშ დოლარში გამოხატული ნასესხები სახსრებიდან, შესაბამისად:

ვალუტა	ზრდა / (შემცირება), % 2024	ივეჯი მოგებაზე 2024	ზრდა / შემცირება, % 2023	ივეჯი მოგებაზე 2023
აშშ დოლარი	8.05%	(1,567)	18.84%	(5,547)
აშშ დოლარი	-2%	389	-18.84%	5,547

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია გასწევს ზარალს, რადგან მისი მომხმარებლები, კლიენტები ან კონტრაქტები ვერ შეასრულებენ ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს, გარდა შემდეგისა:

- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები: 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 327 ლარის ოდენობით მთლიანი ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებიდან 327 ლარი ინახებოდა ბანკებში, რომლებსაც „Standard & Poor’s“ სარეიტინგო სააგენტოსგან მიღებული აქვთ „BB-“ რეიტინგი, „Moody’s“-სგან „Ba3“, ხოლო „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოსგან - „BB-“;

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 187 ლარის ოდენობით მთლიანი ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებიდან 187 ლარი ინახებოდა ბანკებში, რომლებსაც „Standard & Poor’s“ სარეიტინგო სააგენტოსგან მიღებული აქვთ „BB/bb“ რეიტინგი, „Moody’s“-სგან „B1/NP“ (FC) და „Ba3/NP“ (LC), ხოლო „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოსგან - „BB/bb“ რეიტინგი;

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე-6 განმარტებითი შენიშვნა).

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

14. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი (გაგრძელება)**

კომპანიას მოთხოვნების უმრავლესობა მმართველი კომპანიის მიმართ აქვს. ეს მოთხოვნები შესაძლოა მათ სახელშეკრულებო დაფარვის ვადაზე მნიშვნელოვნად გვიან დაიფაროს, კომპანიის და მმართველი კომპანიის ლიკვიდობის საჭიროებებიდან გამომდინარე. კომპანია არ აფასებს მმართველი კომპანიის და სხვა დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნების ვადაგადაცილების სტატუსს, კრედიტის გაუფასურების ინდიკატორად, რადგან მან შეაფასა, რომ მმართველ კომპანიას შესწევს უნარი სრულად გადაიხადოს საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით დაუფარავი თანხები. 2024 წელს დაკავშირებულმა მხარეებმა გადაიხადეს 20,369 ლარის ოდენობით დაუფარავი მოთხოვნები ნაღდი ფორმით. ამ ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, კომპანიამ დაკავშირებული მხარის მოთხოვნებთან მიმართებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არა არსებითად შეაფასა.

2023 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება საუკეთესოდ უზენაეს მათი დამახასიათებელი საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზომას.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვის აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებას. კომპანია მოელის ყველა თავისი ვალდებულების დაფარვას შესაბამისი ვადის დადგომისას, ოპერაციებიდან შემოსულობის (მათ შორის დაკავშირებული მხარეების მიმართ დაგროვილი მოთხოვნების დაფარვიდან) გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში მშობელი საწარმოს სესხების პირობების რესტრუქტურირების გზით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	> 1 წელი	1-3 წელი	3-5 წელი	სულ
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	–	–	28,203	28,203
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	528	–	–	528
სულ მომავალი გადახდები	528	–	28,203	28,731
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	–	33,837	–	33,837
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	652	–	–	652
სულ მომავალი გადახდები	652	33,837	–	34,489

15. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს ან ერთობლივად გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არა დაკავშირებულ მხარეებს შორის.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

15. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მმართველ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“, აქვს კომპანიის საქმიანობების დაგეგმვის, წარმართვის და კონტროლის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, შესაბამისი მართვის ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანიას არ ჰყავს სხვა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, დაუფარავი ნაშთები წლის ბოლოს და დაკავშირებული ხარჯები და შემოსავალი წლის განმავლობაში შემდეგია:

	2024 წლის 31 დეკემბერი			2023 წლის 31 დეკემბერი		
	მშობელი საწარმო	მმართველი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო და სხვა	მშობელი საწარმო	მმართველი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო და სხვა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ნულოვანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ჩათვლით) (მე-6 განმარტებითი შენიშვნა)	–	3,227	–	–	10,268	–
გადახდილი ავანსები	–	–	37	–	–	15
ნასესხები სახსრები (მე-8 განმარტებითი შენიშვნა)	19,462	–	–	29,320	–	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	–	88	5	–	147	–
	2024			2023		
	მშობელი საწარმო	მმართველი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო და სხვა	მშობელი საწარმო	მმართველი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო და სხვა
შემოსავალი და ხარჯები						
ამონაგები ჩამდინარე წყლების დამუშავებიდან (მე-11 განმარტებითი შენიშვნა)	–	11,317	–	–	15,504	1,269
ფინანსური დანახარჯი	(2,459)	–	–	(3,602)	–	–
შემოსულობა ნასესხების მოდიფიცირებიდან (მე-8 განმარტებითი შენიშვნა)	2,789	–	–	–	–	–
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	–	(535)	–	–	–	(264)
მართვის მომსახურებების საფასური	–	(53)	–	–	(53)	–
სხვა საოპერაციო ხარჯები	–	(1)	(214)	–	(1)	(144)

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

16. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელსაც შესაძლოა გამოეწვია ფინანსური ანგარიშგების და მისი თანმხლები განმარტებითი შენიშვნების კორექტირების ან გაცხადების საჭიროება.